ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ. ᲜᲐᲮᲐᲢᲒᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲛᲘᲜᲘ.

№ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 3 1895 Წ. № 51

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: „ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲓᲒᲔᲑᲐ.—ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.—ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲡᲘᲪᲮᲚᲘ, ᲐᲮᲐᲡᲚᲘ.—ᲮᲝᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲛᲜᲔᲚᲘ ᲨᲣᲚᲐᲚ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ.—ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. — * * ᲚᲔᲥᲪᲘᲐ, ᲓᲣᲢᲣ ᲕᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ.—ᲓᲚᲔᲒᲘᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲣᲢᲣ. ᲨᲔᲚᲘᲚᲘ (ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ), ᲒᲠ. Დ.—ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ-ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡᲐᲜ (ᲨᲔᲣᲜᲘᲨᲜᲔᲚᲘ), ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ.—ᲨᲔᲪᲔᲚᲘᲡ (ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ) ᲒᲐᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ.—ᲙᲣᲠᲫᲘ ᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲓᲒᲔᲑᲘᲡᲐᲜ.—

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲒᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘ

„ᲙᲕᲐᲚᲘ“

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ 1896 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲘᲡᲔ ᲓᲐᲜ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲜᲜᲘᲡᲓᲘᲡᲐᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐᲠᲑᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡᲐ, ᲐᲛ ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲯᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲠᲐ ᲐᲮᲚᲐᲪᲔ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲘᲪᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲒᲐᲣᲖᲒᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ **7** ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲐᲖᲒᲐᲕᲜᲘᲗᲘ **8** ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲖᲒᲐᲕᲜᲘᲚᲘ **3** ᲛᲐᲜ. **50** ᲙᲐᲞ., ᲒᲐᲖᲒᲐᲕᲜᲘᲗ **4** ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲘ თვისა ᲒᲐᲣᲖᲒᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐᲜ **2** ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲒᲐᲖᲒᲐᲕᲜᲘᲗ **2** Მ. **50** Კ. ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲗᲘᲗᲝᲛ ᲜᲝᲛᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲡᲗᲐᲜ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲪᲚᲘᲐᲜᲗ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ ᲐᲠᲬᲠᲘᲤᲜᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲐᲨᲘ: „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲗᲮᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐᲨᲘ“, „ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ“ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ „ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲨᲣᲥᲘᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲣᲪᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜᲗ: ᲭᲣᲗᲘᲡᲨᲘ: ᲔᲐᲠᲪᲚᲐᲛ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ, Გ. ᲑᲔᲪᲐᲜᲘᲜᲨᲘᲕᲘᲚᲘᲡ, ᲫᲛᲐᲗ ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ, ᲮᲔᲗᲣᲠᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲑᲐ-ᲜᲘᲡ ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲔᲚᲢᲔᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ.—ᲗᲐᲗᲣᲛᲨᲘ: ᲗᲐᲗᲣ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲜᲘᲨᲘ ᲒᲐᲠ. ᲙᲐᲪᲐᲜᲔᲫᲘᲗᲐᲜ.—ᲤᲝᲗᲘᲗᲘ: ᲛᲘᲮᲘᲐᲚ ᲗᲣᲠᲘᲐᲡ.—ᲛᲐᲮᲘᲐᲜᲯᲒᲐᲨᲘ (ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ): ᲘᲝᲡᲔᲑ ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲐᲫᲔᲡ.—ᲗᲘᲗᲝᲜᲗᲘᲡᲨᲘ: ᲘᲕ. ᲩᲘᲑᲐᲫᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.—ᲒᲝᲠᲘᲨᲘ: ᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲪᲐᲜᲔᲫᲘᲡ.—ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲨᲘ: ᲗᲘᲒᲠᲐᲜ ᲙᲘᲙᲘᲫᲘᲡ; ᲣᲯᲐᲠᲘᲡᲨᲘ: ᲑᲐ-ᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ —ᲐᲮᲐᲯᲣᲚᲘᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲝᲩᲮᲝᲠᲔᲗᲨᲘ: Კ. ᲗᲐᲒᲐᲠᲗᲘᲚᲘᲫᲘᲡ.—ᲡᲐᲩᲘᲮᲝᲠᲔᲗᲨᲘ: ᲧᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲩᲮᲘᲫᲘᲡ.—ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ: Ე. ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲚᲘ 1896 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ „ᲙᲕᲐᲚᲘᲡᲐᲡ“ ᲓᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ, ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲐᲗ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ.

„ᲒᲣᲚᲥᲐᲜ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა-და-სხვა ამბები

ᲙᲐᲪᲣᲚᲘᲡ საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოებამ გადაწყვიტა მომავალ წლიდან გამოსცეს „სამედიცინო ფურცელი“ რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზე. ამ გაზეთ-მიზნათ ის ექნება, რომ ხალხში გაავრცელოს სამედიცინო ცოდნა. როგორც შეიტყეთო, რედაქტორობა ქართული განყოფილებისა საზოგადოებას ახალუაზდა ექიმისათვის, ბ. ი. ს. ელიაშვილისათვის მიუნდია. სრული იმედი უნდა ეიქონიოთ, რომ რედაქტორი თავის მოვალეობას ზედ-მიწევნით შეასრულებს და მას ამ ძნელ საქმეში სხვა ჩვენი ექიმებიც დახმარებას აღმოუჩენენ.

***

კნ. ნინო ზაქარიას ასულს ანდრონიკაშვილისას შეუწირავს 150 მ. მომავალ დედათ შკოლის თანხისათვის ღმერთმა ქნას მიმბაძველი მრავალი აღმოუჩნდეს.

***

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲑᲘ დღეისთვის გაიხსნება რკინის გზით მიმოსვლა სადგ. მარელისამდე და 10-დან—ბელაგორამდე. იქნება გზაუფულამდე მიეახლოთ რიონის სადგურს!

***

რედაქციამ მიიღო ამ თვეში ახლათ გამოცემული შემდეგი წიგნები: 1) შინაური საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა მოყვანა, ორი სურათითო, ფასი 25 კ. გამოცემა იე. როსტომაშვილისა 2) საბოსტნე მცენარეების თესვა მოყვანა და მოხმარება—შენაბეჭდი,—მისივე გამოცემა, ფასი. 25 კ. 3) ნატერის თვალი. კომიკური ოპერეტტი. ა. ახნაზაროვის თარგმანი, ფასი 40 კ. 4) შიმშილით მკვდარი, ქართველი სტუდენტების ცხოვრებიდან, ეპოქელ მოწაფისა ფასი 5 კ. 5) კრებული ირითმეტიკულის ამოცანებისა. შედ. ნ. ჯაჯანაშვილის მიერ გამოცემა მესამე ფასი 40 კ. 6) მეფე მალიასი და მისი მეუღმსი, გამოც. ქუთ. საკერარო შკოლისა ფასი 5 კ. 7) სომხურ ენაზე: ეგორეი წერეთლის „ლომკაცი“ თარგ. ტერ-დავითიანისა.

ქართული სცენა.

ᲗᲐᲠᲯᲐ მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო“ ნათქვამია-და ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ყოველგვარ ხელოვნებაზე, რომლის შემოქმედებითი ძალა უმეტესობისათვის მეუგნებელია.—როდესაც ფოთელი გამოდის და ყეიალები იშლებიან, ეს დიდებული შემოქმედებითი პროცესი, ადამიანს არაფერათ არ მიაჩნია უმეცრების გამო, მაგრამ იგივე ადამიან ელეა-ბეკქა ქუთელის დროს კი პირჯერის წერით იძახის: „დიდება შენს ძლევრებას ყოვლის შემოქმედოო“ და სხვანი.

უმეცარს რაც თვალში არ ეჩხირება და ყურში მკეახეთ არ მოხდება, ის არაფერათ მიაჩნია და ამის ბრალია, რომ ბრბო ამასა სცემს თაყვანს, რაც გაბერილი, გადაპრანჭული და გაზეიადებულია. სხვისი ფეხის ხმის აყოლა ქვეყნისათვის, თითქოს, ცხოვრების კანონია!.. და ძლიერიც არის ეს უფუნური კანონი! ეკიოლთ, მაკალითად, გინდ მუზიკა. საზოგადოთ ასში ნახეკარს არ ესმის!—უმეტესობას ზურნა-ჭიანური ურჩენია ფორტოპიანს და ზოპანის მელოდიებზე უბრალო „ტიპ-ტიპატა“ უფრო მოწონს, მაგრამ ეერ ბედვის გამხელას, არ შეერცხეეო, და სხვების აყოლით აქებს და ადიდებს იმას, რაც არც იცის და ეერც შეიგნებს!—აბა, დაუკარით და მოასმინეთ ეაგნერის მუზიკა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ფუთხარით: „ეს უბრალო ვისმეს შეთხზულია თქო“, თუ მაშინვე არ დაიწუნოს.—წინდაწინვე რომ ეცოდინება ეაგნერისაო, მაშინ კი რასაკვერველია მოიწონებს, რომ სხვები დაუჯერონ!.. ეს კიდევ არ ქმარა... იმდენს ეცდება, თავის თავიც კი დაუჯეროს და ძალდატანებით წარმოიდგინოს: კარგია და სწორეთ მომწონსო. ესეეე შეეხება მხატორთას, ქანდაკებას, მწერლობას და სხვა... სხვა ქვეყნების მწერლობას რომ არ მიემართოთ ხამაგალითოდ, აეიღოთ ჩვენნეე: ეეთორმეტე საუკუნის აქეთ, სადაც კი რუსთველს ახსენებდენ ჩვენში, იქ, მაშინვე, თავში შაეთელს წამოუსკუპნდენ და თუ არ მეტათ, ნაკლებ რუსთველზე არ ფეხებდენ.—რა იყო ამ ორ მწერალში საერთო? არაფერი!.. ერთი მგოსანი და მეორე კი გაბერილი უნივერ რიტორი!.. ერთი ყველასათვის ადვილათ გასაგები და სისხლ-ხორცეში გამჯდომი და მეორე კი გაუგებარი ბრძნობა-ბონეგ-ბის მძიმე ტერიონი!.. მაშ როგორ მოხდა? რა მიზეზი იყო შაეთელის გაზეიადებისა და რუსთველზე უმაღლ ესათ დაყენების? უმეცრების თავმოყვარეობა!.. როდესაც ქართველ მწიგნობრები და მწერლები ადვილათ გასაგებ რუსთველს ჰკითხულობდენ, ასე ეგო-

ნათ აქ სიტყვებია კარგი თვარა აზრი დიდი არა არის რაო!.. მაგალითად: „კაცი უნდა ხერხი იყოს გაქონ	დეს და გამოქონდეს;“ ან: „ვერ დაიჭიროს სიკეთილსა გზა ეიწრო ეერცა ალდოვანი“, და ან კიდევ: „მოყვარემან ეარდის კონა გულსა მჭკრა და დამიწყლეთა,“ და სხვანი. „ეს ყველა და ამისთანები სხვებიც, ისეთი უბრალო სიტყვებია, რომ თუ არ მითქვამს, შემეძლო კი რომ მეთქვა და ყველა ჩემი ნაცნობებიც კი მოახსრხებდენ ამის თქმასო.“

საკირველია კაცი. რაც ადვილათ და გაუჭირეებლათ ეძლევა აოფრათ აგდებს! უბრალო ჰგონია. და რაც გაჭირვებას უჩვენებს ის კი დიდ რამეთ მიაჩნია! შაეთელია ჩვენ ძველებს არა ესმოდათ რა! მისი სიტყვების რახა-რიები და ბრახა-ბრუნი ჰარმონია ეგონთან!.. რომ ამოიკითხავდენ, მაგალითად, ამ ბეგარ რამეს: „მოლუქ მოლუქად და სასალუკად“, „არიონა თან არიონა თან“; „რომელნი ელნით რომელნი ელნი ი“, ბრახუნ-ბრახუნად, ბრაგუნ-ბრაგუნი, ბრუხუნ-ბრუხუნი და სხვანი ამ ბეგარები,—სიბრძნე ეგონათ; სიღრმე-სიგანეს უზომავდენ და რომ ვეღარ გაატანდენ სისქეში, ჰფიქრობდენ ალბათ ეს დიდი რამეაო. სხვა ან კი რა მოეთხოვებოდათ იმ საბრალო მწიგნობრებს, მაშინ როდესაც ინსტიტუტი, ან-კარგის საგრძნობელი, დაკარგული ქონდათ და დარუნგებულ ჭკუა-გონებით შემომქედების ძლიერების მიწდომა არ შეეძლოთ?.. იტუუტდენ თავს და ატუუტდენ ქვეყანასაც: გაჰკიოდენ შაეთელის დიდებას.—ფეხის ხმის ამყოლი ქვეყანაც იმეორებდა მათ ნათქვამს, მაგრამ საქმით კი სულ სხვა გამოდიოდა: მაშინ, როდესაც რუსთველი ყველამ ზეპირათ იცოდა, ჭირსა და ლხინში აუცილებელ მასალათ იყო გადაქცეული, შაეთელის მხოლოთ სახელი იცოდენ და მაინც მოწიწებით იხსენებდენ!.. და აქ გასაკვირველია კარა არის რა: ფეხის ხმის აყოლა, იგივე გიპნოტიზმია“—ჯადოა და ამიტომაც უთქვამს ჩვენს ძველებს: „ჯოგმა რომ ხეს შეგბალოს, ხეც გახმეგბაო!“ ძლიერია „დ-ვარდნილი—ხმა“!.. ეინ მოსთვალის რამდენი უსამართლოთ ინაგრება ქვეყნის ხმით ქვეყანაზე და რამდენი უსაფუძელოთ ამაღლდება ხოლმე?—დაუარდება ეისმე, მაგალითად, სიცოცხლ ხმა და ქვეყანა ჰგმობს ის უბედურს. რათა? რისთვის? აქვს ეისმე საფუძველი? უკმარაეს რამე ფაქტი ხელში? არა!.. მაგრამ როცა ზოგიერთები ანბობენ ხსენებაც ხომ უნდა გამეოროს? ზოგი კაციც ისეთ ეარსკვლავზეა დაბადებული, რომ სიკარგის სახელი დადგება და დიდი და პატარა ყველა მის ქება-დიდებაშია. რაც უნდა ცუდი საქმე ჩაიდინოს—რაც უნდა ემნა—გინდ თავზე ხელიც აიღოს, მაინც ყვე ეა ამართლებს და მისი ცუდი არაეის სჯერა. ამიტომაც არის ნათქვამი. „ზოგის ბანზა ჩჩრიალებს და ზოგის კაკალიც არაო!“—დიახ. ქვეყნის ხმა და ხმის აყოლა სწორა... სახადა!.. მართალია ოდესმე ქვეყანაც გამოერკვეეი, მოიხდის ხოლმე იმ სენს, მაგრამ გვიან... ძალიან გვიან - ბეერჯელ საუკუნეობია საჭირო!.. ეს ფიქრები ძალაუნებურათ მომდის თავში, როდესაც ჩვენ მოღაეწვებს გაეითვალისწინებ ხოლმე. ორი—სამი რომ გამოეაკლოთ დანარჩენები სულ ქვეყნის ხმით არიან გაბერილები; მაშინ როდესაც ღირსეულები მირბილიდულან... მიეიწყებულან!!. ესეეე მომაგონდა დღეს, როცა ქართულ სცენას შეეეხე!.. ეერც ის ასცდენია ამ საერო კანონს. მაგრამ რადგანაც უფრო ეერცელი სტატია მექმნება ჩვენი თეატრის შესახებ, ახლა ბეერს აღარას ეიტყეი და პირდაპირ გადაეალ ამ ორ წარმოდგენაზე სადაც მონაწილეობას ალებდენ მესხები: კერძას წარმოდგენეს „კომლი უცეცხლოდ“ ერთ მოკმედებიანი დრამა. ეს დრამატიული ნაწყეეტი რიგიანი და კარგია. შეენიერი იყო გრაფის როლში კ. მესხი და მის ცოლ ქალ ე. მესხს კი, რომელიც გრაფის მეუღლეს ადგენდა დაეტყო დიდი ხნის სცენაზე გამოუსელელობა: ჩქარობდა და სიტყვებს ყლაპავდა!.. თამაშით კი შეენიერად ითამაშა!.. ზოგიერთ არტისტებსა ჰგონიათ, რომ თამაშში მხოლოთ მაშინ უნდა, როდესაც თეთონნ, სუფლიორისაგან მოწოდებულ სიტყვებს იმეორებენ და ირხეეიან და რომ გათიეებენ თავის სათქმელს მერე აქეთ-იქით აყურებენ. თავი-და-თავი ღირსება არტისტის სხეებთან შეთამაშეაა, როდესაც უსტტყეოთ, ბოლოოთ სახის გამომეტყველებით უკავშირდება სხეებს და სახბლავ-ძოეს არა სწყვეტს.—ეს ნიჭი უნდაო აქეს მომადლებული ე. მესხის.—ქალს და კარგი რამ საყურებელი იყო, როდესაც მისი მეტყველი სახე ორ-გვარ, ორ-კეც ტანჯვას ეეიხატავდა: თავის საკუთარს, როგორც უსამართლოთ დასჯილისას და იმავე დროს უბედური ქრმის სათანაგრძნობოსაც!.. სწორეთ მომხიბლავი წამი იყო, მაგრამ, დაჯეთ უბრალო რამ შემთხვეევას, იქაც კი უმტყუნა ბედმა და იმდროს, როდესაც უკიდურეს განწირულებაში იყო ჩავარდნილი, იძულებული შეიქმნა შინაონზე მოეელო ხელი და სწორება დაეწყო!.. გაიფაქტა ოცეუბა და გაფუჭდა შთაბეჭდილება!!.—მეორე წარმოდგენაც ოთხშაბათს იყო, კ. მესხის საბენეფისოდ. წარმოგედგენეს ფრანგულიდან ნათარგმნი პიესა „მადამ სან-ჟენრ“. ეს პიესა აქ, ამსაწინეთ, რუსებმა წარმოადგინეს; ნახეთი ვეკონდა და საფერებელი იყო, ოომ ისე აღარ მოგეეწონებოდა, როგორც ახალი რამ. საკვირო იყო რომ ჩვენ ბარტისტებს უკეთ ეთამაშნათ და მართლაც ასე მოხდა; საუცხოეოთ გამოეიდა კ. მესხი, გარეგნობით სრულიად ნაპოლეონის

მსგავსი, როდესაც მრავალ-კეკ ფიქრებით დატვირთულმა მიმმართა სამწერალო სტოლს. მაგრამ „ბისდა საუბედუროთო, მოყვრებმა უმტრესს: ასტეხეს ტაშის კერა და გამოიხმეს! --ნაპოლეონის ნაცელათ ჩვენ წინ იდგა ეიღაც ულაკაშ-მოპარსული მატყუარა და ქანდრას თაყვანსა სცემდა!.. ამას შემდეგ რაც უნდა კარგათ ეთამაშნა, მაინც ეფიარ გამოგვიბრუნებდა საესებით, დაკარგულ ოცენებას... ეინც კი გვინახავს ამ როლში, ყველაზედ უკეთ წარმოადგენა.—თუმცა ერთი რამ კი უნდა შეენიშნოთ. საზოგადოთ ყველა მოთამაშეები და კერძოთ მესხიე, ნაპო�aონს ისე გვისურათებენ, თვითონს იოანე მტარეალი იყოს: სასტიკი, უგულო, გრძნობა გალაყებული და საშინელი. ეს დიდი შეცდომაა. ნაპოლეონს, როგორც დიდ-ბუნებოვან კაცს, გრძნობაც დიდი აქვს და გონებაც, მაგრამ დიდების მოყვარეობამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ „იძულებულია„ გრძნობას არ ჰპეკეს და მუდამ ხელში ეჭიროს თავისი გული. ხან-და-ხან წასცდება ხოლმე.—მისი გრძნობაც შეითამაშებს ხოლმე, მაგრამ გონება შეეკიდება, უცბათ იმორჩილებს და თითქოს აქვავებს. ეს პიესიდანაც ნათლათ სჩანს.

როდესაც „მადამ სან-ყენი“ გარისხებულ ნაპოლეონს უანბობს თავის თავგადასავალს და მასაც მოაგონებს მის წარსულს; ელაპარაკება სხვა და-სხვა პოლკებზე, ომებზე, საკუთარ მონაწილეობაზე და ბოლოს ჭრილობასაც უჩვენებს; ნაპოლეონს გრძნობა უდიდდება—ეიწყვება ახალი მიზანი, ტეტრით გულ-დან უკარგება და თავდაეწყვება ეძლეეა: სულ სხვა ეუნებაზე დამდგარი, ჭოკენს „მადამ სან-ყენსა“ ზედ ჭრილობაზე... მერე სხვანაკა უნდა, რომ აქედან გადაკოცდეს, მაგრამ ერთი უბროლო სიტყვა. „მანდ მე ჭრილობა კარ მიმღიაო“ აფხიზლებს და უეცრათ გრძნობა დაბუული ნაპოლეონი იქვავებს სახეს.— ეი სად არის საჭირო სახის გამომეტყველება და ორგვარობა!!.—მოუხედავათ ამისა მაინც კარგი იყო ბ. კ. მესხი.— ეს არტისტი ჩვენი სცენისათვის შესაძრნეელი მოელინებაა.—ჭკვიანია, წინდაზედული, ზრომის მოყვარე და ზრომის მოყვარეობაც, ხომ ნიჭის მონაჯეერეობაა?.. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ეინმე მემკეიდრე მილიონებს მიიღებს სამკეიდროოთ, მაგრამ ისე გაუფუტყეს, რომ ბოლოს ღარიბათა რჩება.—ზოგი მილიონებს ეერ მიიღებს, მაგრამ სამყოფს კი და ისე შეუწყობს ხელს ისე რიგიანად წაუძღეგება წინ თავის სამკეიდროს, რომ ბოლოს ერთი ასად აქცეეს ხოლმე. ამ მეორეთაგანს ეკუთვნის კ. მესხიე. რა არის ნიჭი, თუ კაცი ხელს არ შეუწყობს და ზრომას მოერიდება? მართალია მარტო ზრომით, თუ სულ უნიჭოა კაცი, ბეერს ეერაფერს გაარეკებს, მაგრამ პატარა ნიჭის პატრონს კი შეუძლია, გადიდოს მისი ნიჭი, გაზარდოს და ანაყოფიეროს. ეს ღირსებაა, რომ კ. მესხს ფას უმატებს და შესანიშნაეთ ჰხდის. ახლა გადავიდეთ მის და ეფემიაზე.

ურიგო არ იყო არც პირველ მოქმედებაში, მაგრამ რაც უნდა კარგათ ეთამაშნა ჩვენ მაინც არ დაეკვირდებოდით რადგანაც იმ დროს, იმ როლში, შეუდგრძელი საფარაოვის ქალი ეეეტატებოდა თვალწინ.— ამას ეგრანებ თვითონაც გრძნობდა მესხის ქალი და ცოტა ნაძალადეობა ეტყობოდა, განსაკუთრებით სიარულს, რომ სწავლობდა იმ დროს!.. მაგრამ დანაჩრე მოქმედებებში კი სწორეთ შესანიშნავი და სწორაუფოპარი იყო. ნამეტყო მაშინ, როდესაც ნაპოლეონს თავის თავ-გადასავალს უანბობდა... ამ როლში სხეებიც ვეინახავს, მაგრამ უკეთესი კი არა!.. ეს ეეგება მისი ბრალეეა იყოს, რომ ქართველის ბუნება ცოტათი წაადგეს ფრანკეუზისას... სხეები რუსის მრეცხელ-ქალებს ეგვარებდენ თავიდან ბოლომდე და ეს კი ნამდე�აა ფრანგის ქალს. — ფრან. გის ქალი მდგანაი წოდებისაკე რომ იყოს, მაინც შეუძლია, ხან მოკლეთ შეიფეროს მედიდურობა, დარბაისლობა და ჰაერიანება, რომელსაც ისინი „შიკ“ ეძახიან. „მადამ სან ყენიკ“ იმ ეეართაგანია. ოღონდ დიდხანს ეერ ეპატაკს თვარა, ცოტა ხნით ადეიდათ შეუძლია შეიფეროს და დაიშეენოს დარბაისლობა. როდესაც ნაპოლეონის დებს ეჩხუბება, მაშინ კიდეე ეტყობა მედიდურობა. —ხანდახან უდროოთ-დროს, თავისი უკეარ-ტომობის შესაფერი ხმა წასცდება ხოლმე: ხან ასეა და ხან ისე. ეს კარგათ ჭკონნდა შეგნებული ე. მესხს და მიტომაც უფრო მაღლა ეაყენებთ სხეებზე.—საზოგადოთ თეატრის შეასხებ და არტისტების საგულისხმოთ ბეერი რომ ეკაქეს სათქე�, მაგრამ შემდეგსათვის გადავიდეთ.

ალ.

სოფელი და სასოფლო შკოლა

გერმანიაში.

ᲛᲡᲒᲐᲕᲠᲘᲗ ჩვენ ᲒᲔᲡᲣᲠᲘ ᲛᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲒᲐ, ᲡᲐᲡᲣᲠᲗᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲞᲘᲠᲜᲘᲗᲘᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡი ᲜᲘᲜᲗᲘᲠᲘᲐ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲞᲘᲠᲜᲘᲗᲘᲠᲘᲡ

სახემწიფოა,"—ერთ საისტორიო უღელშია გაბმული, საერთო ჭირი და ლხინით გამსჭვალული, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იმავე დროს რამოდენიმე სამეფოს წარმოადგენდეს. გერმანიას, განუყოფელს, სულ 25 წლის ისტორია აქვს, ხოლო გერმანიას დაუყოფელ—დანაწილებულს რამოდენიმე საუკუნის. რანაირათ მოგროვდა ეს დაქუცმაცებული ქვეყანა? რა ნაირათ იშვა მრავალთასაგან ერთი, გაყოფილისაგან განუყოფელი? რა გზაზედ იმოძრავა გერმანიის ერმა? აი, ამის პასუხს ჩვენ ვეტეყვის მისი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია, რასაც მოკლეთ აქვე აეწერსხაეთ.

გერმანელთა ქვეყანას განაგებდა რამოდენიმე დამოუკიდებელი მთავრობა. მართვა-გამგეობის ფორმა იყო სამნაირი: სამეფო, სამთავრო (Hergogthum) და საერისთო (Türtenthum). ამათში პირველი ალაგი სიდიდით და ძლიერებით ეკავა პრუსიას და ავსტრიას. შემდეგ მოდის ბავარია, საქსონია, ვიურტემბერგი და სხ. ასეთი დახურულებული ქვეყანა ერთ-დროს უნდა გაერთიანებულიყო, ვინ შეიქმნებოდა ამ ერთობის მეთაური? ვის უნდა ეკისრა ეს ისტორიული მისია? ცხადია, ერის ის ნაწილის, რომელიც წარმოადგენდა უდიდეს და უძლიერეს სამეფოს. ასეთი კი ორი სამეფო დარჩა: პრუსია და ავსტრია. თუ გერმანია ავსტრიის ხელმძღვანელობით გაერთიანდებოდა, პრუსია უნდა გამხდარიყო უბრალო ხელქვეით სამეფოთ და მეფე ავსტრიისა მის იმპერატორთ. თუ პრუსია იტეტრიფებდა ამაეე როლს, მაშინ ავსტრია ეარდებოდა იმავე მდგომარეობაში და მეფე პრუსიისა ხელმწიფეთ მთელი გერმანიისა. ამ ნაირათ დაისაკენა პრუსიის და ავსტრიის სამეფო სახლთა შორის მუდმივი, ისტორიული შუღლი და მეტოქეობა. ესენი ერთმანერთს არ ანებებდნენ გაძლიერებას. წასული საუკუნის გასულს ასეთ უთანხმოებამ ისნსა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და დასცა პოლონია. 1792/93 წ. ზამორაში მოხდა პოლონიის მეორე გაყოფა. აქ ავსტრიის არაფერი ახეედრეს. პრუსიამ განუცხადა თუ არ სცნობ ამ გაყოფას კანონიერათ—საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ალარ მოგეხმარებონ. იმ დროს საფრანგეთის მეფე, ავსტრიის მეფის ახლო ნათესავი, დატყვევებული იყო რევოლიუციონურ მთავრობის მიერ და თხოულობდა მისეულებას. ავსტრიამ იფიქრა, სულ ერთია, თუ პოლონიიდან არაფერი მერგო მაგერ საფრანგეთს დაემარტყმე და იქიდან მერგება რამეო. ამ იმედით დათანხმდა პრუსიის წინადადებას. 1793 წ. ავსტრიამ თავისი მხეერობა საფრანგეთის საზღვრებზე მიიყვანა, მა გაყვა პრუსიაც, მაგრამ ამ გაყოლას არ გაყოლა ჯობდა. მას სრულებით არ სურდა ავსტრიის გამარჯვება და გაძლიერება; ამიტომ ყოველ ზომა ხმარობდა დროს გაგძელებისათვის,—მინი არ დაეი-წყოთო. აი რაგორ ახასიათებს ამ მომენტს გერმანიის ისტორიკოსი ზიმელი... მათ (პრუსიელთა) ანგარიშში არ შედიოდა გამარჯვება, მათი დანიშნულება იყო მტერ ამბანაკის (ავსტრია) და მოყვარეს-მტრის (საფრანგეთი) შორის თანასწორობა შეეხახა. („Geschichte der Revolutionsgeit", ტომი II, 258 გვ.). 1794 წ. პოლონია ბოლოს, პრუსიამ ეშოცა მიზეზი და საჩქაროთ საფრანგეთის საზღვრებიდან პოლონიაში შეიყვანა თავისი ჯარი. ავსტრიამ იფიქრა, ეს არის მესამეთ გაანაწილებენ და ეე კიდეე არაფერს მაჩვედრებენო; მიატოვა საფრანგეთი და რუსეთ პრუსიას ჩაეზიარა, მეც მერგებაო და ის იყო თითო ნაწილი სამიეემ იხეედრა. ამ ხანებში საფრანგეთმა თავისი ახალი აკრეფული ჯარი გაწყვეთენა, საკუთარი სამხედრო ტეხნიკა შეიმეშეავა. შემდეგ ეეროპაც შეეესა, მაგრამ გეიან იყო, საფრანგეთის ახალ მხედრობას ეეროფეი ვერ გაუმაგრდა. პრუსია-ავსტრია ჩადგენ თავიანთ ქერქში. 1806 წ. ნაპალეონმა ერთიანათ გადაბრუნა ეეროპის რუკა. მისი ძლეეა-მოსილი ჯარი დაბანაკდა როგორც ბერლინში ისე ეენაში. გერმანელთა ქვეყანის გამეკ ნაპალეონი შეიქმნა. ამ გარემოებამ გამოაღვიძა გერმანელნი საუკუნო ძილისაგან, ახლა კი იგრძნეს თუ რა ყოფილა ერთობა. ახლა ეს ერთობა გახდა საატრფიალო საგნათ. მეორე მხრით, იმავე გარემოებამ ავსტრიაში მოამწყედეეულ დამონაეებულ ერეზე გამოამფიზნელებელი გაეელენა იქონია. თავისუფლება, დამოუკიდებელი ცხოვრება—აი რა შეიქმნა აქ მაძრაობის ჩარხათ. ამ ნაირათ, ევრმანელთა ორ ქვეყანაში ამოხეთქა ორ სხეა-და-სხეა ედეა-აზრმა: ავსტრიაში-დანაწილება, პრუსიაში—(და სხეა მის მოსაზღეერე სამეფოებში)—ერთობა. აქაური პატრიოტები მიილტენ ედენ ცენტრალიზაციისაკენ, იქაური კი—დეცენტრალიზაციისაკენ. ეს კიდეე ცოტაა. ფრანგთა გაელენით, ხალხში გაერცელდა ლიბერალური აზრები და თანაბმათ ამისა მაძრაობა თეოთმცრობელ მეფეთა წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, აქ აღმოაცენდა სამი კითხეა, რამაც ერთიანათ მიიპყრო გერმანელთა ყურადღება: თავის თავის დაფარგა გარეშე მტერთაგან, აქედან შეეერთების მოთხოვნილება, რა ნაირათ შეიძლებაა ამის განხორციელება? ორ მეტოქეთ, ავსტრიას და პრუსიას—შეუძლიათ კი ერთათ მოთავესობა? აი აქ არის მთელი დაბრკოლება. ამ დაბრკოლების დალეწა, დასმული კითხეის გადაწყეეტა გაადვილა ზემოთ მოხსენებულ ორ გარემოებამ.—ავსტრიის მთავრობა (ვენგრია, ჩეხია და სხ.), ხოლო პრუსის მთავრობა—ხალხის ლიბერალურ მიდრეკილებამ და რევოლიუციის აჩრ-

�ლმა. ამიტომ, ეს ორი მეტოქენი დამეგობრდენ და დანარჩენ გერმანელ სახელმწიფოებთან ერთათ დარსდა „Deutschr Bund“ („გერმანელთა კავშირი“). „კავშირი“ შემდეგ ორ მეფლნეს იყო აშენებული: საერთო ძალით დაეცა გარეშე შემოსეულისაგან და შინაური არეულობისაგან. თავმჯდომარეობა ავსტრიას ეკუთვნოდა. ამით პრუსია გულ-ნატკენი დარჩა. რაკი ამ ასპარეზზე ვერ დაიკარა მოწინაეი ადგილი, მან თავისი ყურადღება მიაპყრო მეორე ასპარეზს—ეკონომიურ განვითარებას.

გერმანელთ სამეფონი დამოუკიდებელი პოლიტიკურად, დამოუკიდებელი იყვენ ეკონომიურათაც. თვითეული პროვინციას თავისი საკუთარი სადმოვნო წყობილება ჰქონდა. ამით ერთიანათ შეფერხდა ნიეთთა და ადამიანთა მოძრაობა. ამის წინააღმდეგ პირველთან პრუსია ამხედრდა. 1819 წ. მან მოსპო დამოკნები თავის პროვინციების და ზოგ სამთავროებს შორის. ამ გზაზე მიემხრენ სხვა სახელმწიფონიც და დაარსდა ეკონომ-წოდებული „Zoleverein“ (სადმოვნო კრება). 1834 წ. მისი წევრი უკვე 18 სამეფო იყო: პრუსია, ბადენი, ბავარია, ვიურტემბერგი და სხ. 1837 და 1844 წ. „Zoleverein“-ი ახდენს საეჭვო ხელმეკრულობას ჰოლანდიას, ინგლის, სათანტრეთ, სპბერძნეთ და ბელგიასთან. ამავე დროს ეერმანიაში გამოდიან ეკონომისტები, რომელ-ნიც ჰქადაგებენ დახსნას რკინის გზებისას, გაძლიერებას მოგზაურეულობისას და აღებმიცემობის დასისა. ესენი ამტკიცებენ გერმანიის გაერთობა პოლიტიკურად შესაძლებელია მაშინ, როცა ის გაერთდება ეკონომიურათ. (ფრიდრიხ ლისტი, ვილჰელმ რომერი და სხ.) ამ ნაირათ, გერმანიის ერმა თანდათან დაანგარია თავიანთ შორის ამპრთული ზუფლენი და აღმართა ახალი დროშა ზედ-წარწერით: ეკონომიური ერთობა. ამ მიმდინარეობის მეთაური პრუსია შეიქმნა. პრუსიამ გაძლიერებულმა ნიეთიერათ, გაამლიერა სამხედრო წყობილებაც. თავისი ძალ-ღონე ქვეყნისათვის რომ ეჩვენებინა ავსტრიის დახმარებით ომი აუტეხა დანიას და წაართვა ორი დიდი პროვინცია შლეზვიგჰოლშტეინი (1864). ავსტრიამ განაცხადა საერთათო შენაძენი პროვინცია საერთო კუთვნილება უნდა იყოსო. ამის მაგსუხათ, პრუსიამ ჯარათ დაიჭირა სადვეო პროვინციები და შეიერთა. ავსტრიამ მიმართა „კავშირს“, სხდომაზე არ განაცხადდა პრუსიის წარმომადგენელი, ხოლო ბოლოს ცნობა მოეიდა პრუსია გამოვიდა „კავშირ-დან“ და სხდომის გადაწყეტილებას ძალა აღარ აქვსო. აი აქ მეშმაზს ბისმარკის „ალანები“. რას შეიკვედ ეს ალანები? ავსტრიის ემოციდებს „გერმანელთა კავშირისაგან“. და დანარჩენ მოკავშირეთა გაერთიანებას პრუსიის წიმამძღოლობით. პრუსიის „კავშირისაგან“ გამოსვლა და ომის დაწყეა ერთი იყო. იგი შეუერთდა იტალიის ავსტრიის წინააღმდეგ. ამ ომში დამარცხდა უკანასკნელი და ჩადგა თავის კალაპოტში. ხოლო გერმანიის სამხრეთ სამეფოებს გამარჯვებული პრუსია პირობით შეეკრა: თუ ეინმესთან ომი მომიხდეს თქვენ უნდა მომეხმაროთო. ამით მომზადდა ნიადაგი მომავალი დიდი ომისათვის. მაშინ როდესაც ნაპალეონ მესამე ეერსალში ღროს ატარებდა, პრუსიაში ბისმარკი ჯარს ამრაველებდა და ბადეს ქსოვდა საფრანგეთის გასახვევად. ცდამ ნაყოფი მოიტანა 1870 წ. ომიცხადდა სანატრელი ომი. როცა ნაპალეონ თავის საგარეო საქმის მინისტრს შეეკითხა: მზათ ვართ კი ომისათვისო, მან ადგეჩრით მოუგო: Size, nous sommes prets. მაგრამ რამდენათ მზათ იყო იქიდან გამოჩნდა, რომ თავის სამსათსაისან ბეედრობის წინააღმდეგ. პრუსიისა ცხრაასიათასიანი გამოვედ. დანარჩენნი ხომ ეიცით. დამარცხდა საფრანგეთი, პრუსიელნი შემოადგნენ პარიგს და ბისმარკმა 18 იანვარს (1871) ეერსალის სასახლეში თავმოყრილ მხედრობას წაუკითხა: „გერმანელთა ქეყანა გაერთდა და მეფე პრუსიისა, ვილჰელმი, შეიქმნა იმპერატორათ სრულათ გერმანიისაო“. ეკონომიურ ერთობას ზედ დაერთო პოლიტიკური ერთობაც. ავსტრია ორიეედან გამორიცხული იქმნა. გერმანნი გაიზარდა, გაძლიერდა და პირველი ალგა დიჭირა ეერპაში.

სამზეგარ გაგეთელი.

(შემდეგი აუნეა)

საყურადღებო ამბები

ᲙᲐᲚᲘ. სოხუმი. აქ შეედგა ქართულ სკენის მოყვარულთა ამხანაგობა. ეზრდა აქვთ გამართონ წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა გამართეს ოთხშაბათს 15-ს ნოემბერს კნ. გაიანე ი. ᲨᲐრეაშიძის თაოსნობით, რომელიც დიდი მადლობის ღირსია ამისთვის. საქველ-მოქმედო საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

შემოსავალი დანიშნული იყო სუხუმის სამრეველო ᲨᲙოლის ქართველ მოსწავლეების სასარგებლოთ.

წარმოადგინეს თხზულება თ. რ. ერისთავის

„ჯერ დაიზოკნენ, მერე დაქორწილდნენ“ და სხვანი... წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა;

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ სუხუმში არ არსებობს ქართული სამკითხველო. როგორც გავიგე ზოგიერთთაგან, რამდენჯერ ალფრავეს ლაპარაკი აქვეს ქართველობას სამკითხველოს დარსებაზე, მაგრამ მარტო სიტყვა და დაპირება რას გეტყველის, თუ ის არ განხორციელდა. აწი მაინც იმედია არ დატოვებენ უყურადღებათ ამისთანა ნაკლულოვანებას, როგორიც არის სამკითხველოს უქონლობა. გამოთვენ წარმოდგენებს სამკითხველოს სასარგებლოთ და კიდევ მოძებნიან სხვა წყარობასაც, საიდანაც შესაძლებელი იქნება შეგროვდეს ფული სამკითხველოს დასაარსებლათ.

არა მგონია, სუხუმში მოიპოვებოდეს იმისთანა ქართველი, რომ შემწეობა არ აღმოუჩინოს ამ კეთილ საქმეს.

აქეთ გვარიანათ აცივდა. ახლო-მახლო მთის კალთები ჩამოთოვა ზამთარი კარნე გვადგია. ერთი კერია, რაც განუწყეტლივ წვიმს, მაგრამ მაღლობა უფალს მდინარეს ჯერ-ჯერობით არაფერი ზარალი მოუტანია მცხოვრებთათვის.

სოხუმის ახლო-მახლო სოფლებში რთველი გათავდა, სიმინდის მოსავალი უკეთესი არ შეიძლებოდა. ზოგიერთმა მეორე სასინდღვაზეა: „ერთში არ დაეტევაო“. მოლოდინი გაუმართლდათ. როგორც გაგიგეთ ზოგიერთ სოფლებში საქორწილის რაღაც ავადმყოფობა გაჩენილა, რომელმაც ძალიან შეაშინა აქაური ელეხობა. დახმარების აღმოსაჩენათ მთავრობამ გაგზავნა ბეითალი.

სერგეი ედიაკ

* * *

სხა კაკაკოდან. ყურადღებით წაეკითხე წერილი „ჯეჯილის“ რედაქტორის, ან. თემენაშვილ-წერეთლისა სათაურით: „საზოგადოების საკულისმოთა.“ მართლაც რომ საგულისხმოა ეს პატარა, მაგრამ მრავალ-მნიშვნელოვანი წერილი! მართალია, ისედაც ეიცოდა გულ-გრილობა ქართველი საზოგადოებისა, მაგრამ ამას კი თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთათ ერთი ქართული საყმაწვილო ჟურნალი, რომელსაც დიდი სარგებლობა მოუტანია და მოუტანს კიდეც, ასეთს მდგომარეობაში იქნებოდა!.. განა ეს სამწუხარო არ არის?!. რედაქცია არაფერს არ იშურებს, ყოველ-გვარ საშუალებას ხმარობს რა არის ჟურნალი კარგი გამოვიდესო—და სამაგიეროთ რას ხედავს? — იმ არა სასურველ გულგრილობას, რომლის ცუდი შედეგიც არავისთვის დაფარული არ არის. ნუ თუ შუათანა ოჯახს (არას ეიტყვი მდიდარზე) არ შეუქმნია „ჯეჯილი“ დაუკეეი თავის შვილებს, რომელთთა აეკრეანთმაზედაც დამოკიდებულია სამშობლოს მომავალი!.. განა უმჯობესი არ არის, რომ ბავშვმა, თუნდა ნახევარი იმ თავისუფალი დროისა, რომელსაც ახმარებენ სხვა-და-სხვა არა სასარგებლო ფუჭ დროს გატარებას, გამოიყენონ „ჯეჯილისა“ და სხვა საყმაწვილო წიგნების კითხვაში? რასაკვირველია, ამაში ბავშვს ვერ გავაძალებენთ: რა ჭკნნა საბრალო ბავშვმა, რომ არ იცელქონ, როდესაც სახლში ერთ წიგნსაც ვერ ეპოვიან წასაკითხათ? სწორეთ რომ სამწუხაროა ეს გარემოება და უფრო სამწუხარო იქნება თუ ასე გაგრძელდება. მაგრამ, იმედია, ამას შემდეგ მაინც ყურადღებას მიაქცევს დედ-მამა ბავშვს და „ჯეჯილსაც“ მომატებულ თანაგრძნობას აღმოუჩენს, მით უფრო, რომ, როგორც აცნობდეს ქ-ნი ან. თ. წერეთელისა, მომავალ წლიდან „ჯეჯილი“ გამოეკ ყოველ თვე, რაც, რასაკვირველია, დიდათ სასიხარულოა. მომეტებული იმედი უნდა ეიქონ�ინტელიგენციაზე, რომელიც გაბნეულია სხეა-და-სხეა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში და რომელიც უფრო მოეალეა ჩაეგონოს ხალხს მნიშვნელობა ამ გვარი საქმეებისა.

მე ჩემის მხრით ეეცდები რითაც შემიძლია დაეეხმარო პატივცემულ რედაქციას და იმედი მაქვს სხეებიც არ დაიშურებენ თავიანთ მეცადინეობას და „ჯეჯილის“ რედაქციას მისცემენ საშუალებას, რომ კელავ განაგრძოს თავისი საქმე, ე. ი. „ჯეჯილის“ გამოცემა, და ჩვენს ბავშვს არ მოუსპობენ ერთათერთ საყმაწვილო ჟურნალს, ერომლისაც დიდი ნაკლი იქნება ქართველი საზოგადოებისთვის.

ერთი ახალგაზდათგანი

---

* * *

ბუ, ნუ ატირებთ პაწაწას
და ცხარ ცრემლს ნუ აღერეენებთ,
ამ ძერიფას კაცის საუნჯეს
ტუოელათ ნუ აკარგენებთ!

—

მოეკ დრო, როცა საბრალო
ოგრძნობს ცხოვრების სიმწარეს,
როცა ტკბილ დედის რძის ნაცვლათ
ოგემებს ზზამს და ძიმწარეს;

როდესაც მასში, ვისაც თვის
ძმათ და მეგობრათ დაჰსახავს
და მიენდობა სულითა—
გამცემელ იუდას ჰნახავს.

როდესაც ვერც ერთ თვის სურვილს
ვერ ჰპოებს აღსრულებულსა
და გულ-გატეხილს, ურწმუნოს,
ულონოს, დასუსტებულსა

საზარი სევდა შეიპყრობს,
სიცოცხლე გაუქირდება!..
და აი მაშინ ეს ცრემლი
მისთვის საჭირო იქნება.

რომ დაიამოს მით წყლული,
გულს მიცეს შვება მცირედი,
კვლავ წმიდა გრძნობით აღფრთოვნდეს
და გაუცოცხლდეს იმედი;

რომ ცრემლთან ერთათ მწამლავი
გადმოანთხიოს სამსალა
და სასიცოცხლოთ, საბრძოლრათ
შემოიკრიბ-ას კვლავ ძალა!..

მაშ, ნუ ატირებთ, ნუ ბავშსა
და ცხარ ცრემლს ნუ აღვრევინებთ,
ამ ძვირფას კაცის საუნჯეს
ტყუილათ ნუ აკარგვინებთ!..

დუტუ მეგრელი

სასოებით მკითხველი წმინდა სახარებისა.

ალექსანდრე დიუმა

(დასასრული) *)

ამ ამბით გახარებული დიუმა თავის პიესის წარმოდგენის მზადებას შეუდგა, მაგრამ—დახე უკუღმართ ბედს—აქაც ერთი დაბრკოლება აღმოუჩნდა. ცენზურამ წარმოდგენის ნება არ დართო. მხოლოთ პრინც ლუი ნაპოლეონის და გრაფ დემორნის მეოხებით ეს დაბრკოლებაც იძლია. ახლა, ხომ, ყველაფერი მოწყობილი იყო და არავითარ გარემოებას არ უნდა შეეშალა ხელი წარმოდგენის გამართვის მსურველთ. მაგრამ ბედკრულ ავტორს უფრო საშინელი მტერი გამოუძებნეს. თვით მსახიობებმა უარ ყვეს დიუმა და აგდებით იხსენიებდენ მის ნაშრომს. რა თქმა უნდა—ესენი ყველაზე საშიშნი იყვენ. ამიტომაც დიუმას მეგობრები დაფაცურდენ და, როგორც იქნა, დაითანხმეს არტისტები. წარმოდგენის დღეც დაინიშნა. თუ რამდენათ იყვენ წინაალმდეგნი არტისტები ამ პიესის წარმოდგენისა,—ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ, როცა ფარდის ახდის უმალ თეატრის მმართველმა შენიშნა არტისტებს ამალამ თქვენ თეატრის დიდ დღესასწაულში იღებთო მონაწილეობას, ამათ იქვით მიიღეს ეს სიტყვები და ბევრმა სიცილიც დააყარა. მაგრამ, გამოდგა, რომ თეატრის დირექტორს წინასწარმა გრძნობამ არ უღალატა. მისი სიტყვები გამართლდა: მეორე დღესვე მთელი პარიჟი იყო და დიუმა. გამოჩენილ მწერლათ აღიარა ახალგაზდა დიუმა ჭინიანმა პარიჟის საზოგადოებამ და ამას შემდეგ მან სახელი გაითქვა აგრეთვე საფრანგეთს გარეთაც. ამისთანა წვალებით და დავიდარაბით მოიპოვა დიუმამ საპატიო ალაგი თავის პიესას საფრანგეთის თეატრის რეპერტუარში. ახლაც, თავის ნიჭის გამოსაჩენათ და გამოსაცდელათ დრამატიული არტისტი ქალები ამ პიესას დგამენ. სხვათა შორის, დევნის მიზეზი ისიც იყო, რომ ახალგაზდა დრამა-

*) იხ. კვალი № 50.



წყალდიდობის შედეგი: აჯამეთის ხიდი.

